ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №7

22 თებერვალი 2022 წ. ქ.თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

14:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

სხდომის თავმჯდომარე- ირაკლი ხელაძე
წევრები- ოთარ გრიგოლია, ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე,ლევან ჟორჟოლიანი, გურამ ოქროპირიძე, ანა გოგოლაძე,საბა ბუაძე, ალექსანდრე რატიშვილი, აკაკი ალადაშვილი.
მოწვეული სტუმრები:
საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე- ლევან მიქავა
სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა დღის წესრიგი.
დღის წესრიგი.

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.
   საკრ.(№15-032205248-03; 11-01220521456)
   საკრ.(№15-03220532-03; 11-01220523051)

ლევან მიქავას მოხსენებით,ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის წერილობითი მოთხოვნით თბილისის მასშტაბით არსებულ ქუჩებზე გზების ორმოული და პერიოდული შეკეთების შესრულებული სამუსაოების ასანაზღაურებლად „ გზების მშენებლობა რეაბილიტაციის“ პროგრამაში (პროგრამული კოდი 01 01 01) პირველ კვარტალში ემატება 1 000 000 ლარი, თანხებიოს გადმოტანა ხდება მომდევნო კვარტლებიდან.

„გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაციის“ პროგრამაში (პროგრამული კოდი 02 05), პირველ კვარტლის გეგმა იზრდება 3 993 500 ლარით. აღნიშნული სჭირდებათ გარეგანათების ქსელისა და შენობების არქიტექტურულ-მხატვრული მინათების ქსელის ექსპლოატაციის მომსახურების ანაზღაურებისათვის.

ასევე წარმოდგენელია სარეზერვო ფონდის პირველი კვარტლის გეგმის გაზრდა 500 000 ლარით, რასაც ვაბალანსებთ "წინა წლებში წარმოქმნილის დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის“ პირველ კვარტალში არსებული თავისუფალი რესურსით.
კომისიის წევრების შეკითხვაზე ლევან მიქავამ განმარტა, რომ სარეზერვო ფონდში, კოვიდსასტუმროებში კოვიდპაციენტების გადასaყვანად მარშრუტკების მომსახურებისათვის პირველ კვარტალში დამატებით დასჭირდათ თანხები, რისთვისაც მოხდა აღნიშნული ცვლილება.

მომხრე- 10

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური და სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის საქალაქო სამსახური ითხოვს მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების კვარტალურ ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტების შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილების დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების კვარტალური გადანაწილების ცვლილებას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ხელაძე